საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 7 21 0001268633

26/11/2021

ბრძანება

ქ. თელავი

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-10 მუხლის და მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების მე-12, მე-20, 21-ე და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მანანა ღარიბაშვილის სამსახურებრივი ბარათის (22/11/2021წ. N1257340) საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. დაინიშნოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები, სტუდენტის კვოტით (2 ვაკანსია), 2021 წლის 06 დეკემბერს, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების გამოკლების გამო (2022 წლის 03 ოქტომბრამდე).

2. განისაზღვროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლეილა ცხოვრებაშვილი - იურიდიული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
ბ) თამარ თამარაშვილი- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
გ) თენგიზი კუკუნაშვილი- სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;

3. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2021 წლის 26 ნოემბერს და დასრულდეს 2021 წლის 05 დეკემბერს (10 კალენდარული დღე);
4. კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან- 17:00 საათამდე;
5. დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას არჩევნებთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
6. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;
7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს;
8. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
9. დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

სსიპ –იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი